პროექტი „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF)

„ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“

პრესრელიზი

სასტუმრო „თბილისი მერიოტი“, შეხვედრების ოთახი

2023 წ, 15 დეკემბერი, 10:00 – 14:35

2023 წლის 15 დეკემბერს საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ (სბმკ „ორქისი)) ქ. თბილისში ატარებს თემატურ სემინარს გარემოსდაცვით, სოციალური და მმართველობის (ESG) მოთხოვნებზე. სემინარი განკუთვნილია საქართველოს სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლისა და მწვანე ზრდის პროცესში საკვანძო როლს თამაშობენ.

ESG სემინარი ორგანიზებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ქვეპროექტის „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ფარგლებში, რომელსაც შვედეთის მთავრობა აფინანსებს. სბმკ „ორქისი“ წარმოადგენს ქვეპროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას, ხოლო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინატორის როლი აკისრია.

სემინარის თემაა „სათანადო ESG რისკების გამოვლენა, ESG ეფექტიანობის მხარდაჭერა მართვის სისტემებით, დაფინანსების ხელშეწყობა ESG საკითხებზე თანმიმდევრული და სანდო ანგარიშგებით“. მასზე საკვანძო დაინტერესებული მხარეები მიიღებენ ინფორმაციას ESG ფაქტების, ESG ინვესტირების აღიარებული სტრატეგიების, ევროკავშირის მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს, საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო სტანდარტების, გარემოსდაცვითი ექსპერტიზისა და მონიტორინგის სფეროში საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნების შესახებ.

სემინარს გაუძღვება ცირკულარული ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალური, მმართველობისა და მდგრადი დაფინანსების საკითხების საერთაშორისო ექსპერტი დოქტორი დარიუშ პრასეკი - საინჟინრო ეკოლოგიის დოქტორი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი, გაეროს ცირკულარული ეკონომიკის მრჩეველთა საბჭოს წევრი და ამერიკათაშორისი განვითარების ბანკის (IDB Invest) განვითარების პროექტების დამოუკიდებელი ექსპერტი.

ESG სემინარი მეორეა იმ ხუთი თემატური სემინარიდან, რომელიც აღნიშნული ქვეპროექტის ფარგლებში, ცირკულარული ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალურ, მმართველობისა (ESG) და

მწვანე სახელმწიფო შესყიდვების (GPP) საკითხებში სათანადო სამთავრობო უწყებების შესაძლებლობების განვითარების მიზნით არის დაგეგმილი, ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევის შემუშავებასა და განხორციელებაში მათი ინფორმირებული მონაწილეობის ხელშესაწყობად, ასევე ESG და GPP სტანდარტების პოლიტიკის დონეზე მხარდასაჭერად.

ქვეპროექტი „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ფარგლებში, რომელსაც შვედეთის მთავრობა აფინანსებს. შესაძლებლობების განვითარების თემატური სემინარების გარდა, ქვეპროექტი საქართველოსთვის ცირკულარული ეკონომიკის ეროვნული გზამკვლევის მომზადებას ითვალისწინებს. ქვეპროექტს უძღვებიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი და ცირკულარული ეკონომიკის, მდგრადი დაფინანსების, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხების საერთაშორისო ექსპერტი, სბმკ „ორქისი“-ს გუნდის ხელმძღვანელი დოქტორი დარიუშ პრასეკი. მათ ეხმარება სბმკ „ორქისი“-ს გუნდი, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხებში ღრმად ჩახედული ექსპერტებით.

- ახალი ბიზნესგარემო ახლებურ აზროვნებს მოითხოვს - ისეთს, რომელიც ESG მაჩვენებლებს ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში ჩანერგავს და მაქსიმალურ გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.
- ESG საინვესტიციო საქმიანობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის ფაქტორების გათვალისწინებას გულისხმობს:
    - გარემოსდაცვითი ფაქტორები ეხება კომპანიის ზემოქმედებას გარემოსა და კლიმატის ცვლილებაზე;
    - სოციალური ფაქტორები გულისხმობს კომპანიაში ჩართულობის, მრავალფეროვნებისა და თანასწორობის ხელშეწყობას, თანამშრომლებთან სათანადო მოპყრობასა და მათ უსაფრთხოებას, ასევე კომპანიის ზემოქმედებას მოსახლეობაზე.
    - მმართველობით ფაქტორებში მოიაზრება მეთოდები, რომლითაც კომპანიის მართვა ხორციელდება, ეთიკური გადაწყვეტილებები მიიღება, ინტერესთა კონფლიქტი აღმოიფხვრება, დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დაკმაყოფილება და კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა ხდება.
- ESG არის ჩარჩო, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს ეხმარება გაიაზრონ, გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის ფაქტორებთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებს კომპანია როგორ მართავს. წარმოადგენს რა მდგრადი დაფინანსების ინსტრუმენტს, ESG ინვესტიციების გამწვანებას უწყობს ხელს. ამგვარად, იგი ცირკულარულ ეკონომიკასთან და მდგრად განვითარებასთან არის მჭიდრო კავშირში.
- საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების დროს ინვესტორთა მზარდი რაოდენობა ითვალისწინებს ESG ელემენტებს, რის გამოც ESG-ს მნიშვნელოვნება დღითიდღე იზრდება როგორც სასესხო, ასევე სააქციო კაპიტალის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. კორპორაციულ ლანდშაფტში ESG-ს ჩართვას მივყავართ მდგრად ინვესტირებამდე და მდგრადობის მიზნების გათვალისწინებით შემუშავებულ პროდუქტებამდე.

ESG სემინარი ორგანიზებულია სბმკ „ორქისი“-ს მიერ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ქვეპროექტის „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ფარგლებში, რომელსაც შვედეთის მთავრობა აფინანსებს. აღნიშნულ ქვეპროექტს სბმკ „ორქისი“ ახორციელებს, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაკოორდინირებელი როლი აკისრია.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ნინო კუჭავა

ტელ: 595335699

ელ-ფოსტა: orchisge@yahoo.com